



გაზეთი
საქართველო

საქართველო

გაზეთის № 158

დამატების № 28

კვირა, 17 აპრილი, 1916 წ.

საქართველო



ფ. მ. ბ. ა.

სივლიერები

საზავსულო

* * *

შეყვარებულს შენს ნაზ გრძობას
ბუღბუღილიც კი სტვენით აკრთობს;
მხიარულობ, ხანაც სდუმხარ,
ხან ალერსი ჩემი გართობს;
ახლო ხარ და ჩემი არ ხარ,
ბედი ასე უკუღმართობს!!

—

თავს რომ დაჰხრი—გაიღიმებ,
სახეს შუქი გეფინება!
რა გიხდება მორცხვად მზერა,
რა გიხდება ნაზი ვნება!
შენ რომ გხედავ, ასე ვგონებ,
ცის სიტურფე მევლინება!
შემიპყრობ და წარმიტაცებ,
ნაღვლიან გულს ელხინება!

* * *

გაზაფხულზე ნორჩი ვარდი
იშლება და ისევ სჭკნება;
რაც, ძვირფასო, ჩამომშორდი,
თვალი მუდამ შენკენ მრჩება!
გელოდები, არსად სჩანხარ,
უიმედოდ გული მწყდება
და სიცოცხლეც იმ ვარდით
აღარ იცდის, აღრე სჭკნება!

ტურფავ ჩემო! ამას ვნაღვლობ,
რომ სხვა ვარდი გაიშლება,
ჩვენ კი წავალთ, ჩვენთან ერთად
ჩვენი ხსოვნაც წაიშლება!

* * *

ერთხელ გვერდით გამიარე,
წახველ და თვალს მოეფარე;
იქ ის ჰნახე, მისალმე,
მე დამსტოვე მგლოვიარე
ტურფავ! შურიტ რად ამავსე?
სიცოცხლე რად გამიმწარე?
არ იცი თუ შენ ხარ ერთი
ჩემი მზე და ჩემი მთვარე!
შენს თავს ვფიცავ, ეს ცხოვრება
მხოლოდ შენთვის შევიყვარე!
მიტხარ, მიტხარ, საყვარელო,
სიცოცხლე რად გამიმწარე?!

ხანდრო შანშიაშვილი

გაზეთის № 158

საქართველო
გაზეთის № 158
დამატების № 28
კვირა, 17 აპრილი, 1916 წ.

ნ ა ნ ა

ნანინა, შვილო, ნანინა
ნანინა შენი ჭირიმე,
რამდენად პირად ვიცინი
იმდენად გულში ვტირი მე.

ნანინა, მაგრამ ვაი მე,
ტყუილად გიმღერ ნანასა,
ძიმწარ მორეულ ნანაში
ვხედავ პაპილოს დანასა.

დანას აღესილს, დაღესილს
განა დუშმნის და მტრისადა,
მოქნეულს, მომარჯვებულსა
შვილებისა და ძმისადა.

შვილო, ლულუნავ ჩემს ნანას
ჰქვია ოხვრა და წიოკი:
პაპილომ აღარ დაგვიდლო
ტყე, ხოდაბუნი, წრიოკი.

შავი ქვაც დუშმანს ესროლა
თავში ორივე ხელითა,
დაირას ცემა დაუწყო
ბაიათების მღერითა.

სუყველა ერთად წყალს მისცა
გაპფანტა, გაახიავა,
თავად დაიტკბო დღეები
და ჩვენ კი ასე გვიავა...

ხანინა შვილო, ნანინა,
რალა ნანინა ჭირიმე,
პირში რომ ტკბილად ვიცინი
გულში ვკენესი და ვტირი მე.

ჟი ამ ნანას და ვაი
ასეთ ჭირ-ნარევ ლხენასა,
დღე-მუდამ მწარედ ცხვირიდან
ძრმისა და ცეცხლს დენასა.

პაწიავ, ჩემი ნანინა
არ არის ღამატკობელი,
შიგ მწარე ნაღველს მიღესავს
ჩემი სისხლ-ხორცის მგომბელი.


შაგრამ რა გიყო, მშობელმა
უნდა აგზარდო ნანითა,
შენ ხომ არ დაგკლავ უდროოდ
სხვისთვის ნაღესის დანითა.

შიო მღვიმელი.

ს. წალვერი.



სიკო ბრავაძე
გმირულად განწირული ოსმალეთის ფრონტზე.



ციხე-კომჭი ფინეთში
სადაც შვეციასთან ომის დროს დატყვევებულ იყო ალექსანდრე ბატონიშვილი.

იალაღელ

ამბავი.

თიბათვე უკვე ჩამოდვა, ბარში ჩვე-
ულბრივი პაპანაქება — სიცხეები დაი-
ჭირა და ცხოვრება შეუძლებელი გა-
ხდა. სიცხეს თან ემატებოდა მთელის
წლობით გაუტანელი ნეხვის სუნი,
ჩელიც წვიმას გაეთქვიფა, შეეტბო-
და ხავსი მოეკიდებინა. სუ-
თვეელი აშშორებული ჰავა
რსებისა, რომელნიც ამ
დებინან და აყროლდე-
ათის სუნით ჰაერი
არად ცხოვრე-
ულის მო-
რა არის
თანა

მიანს. ყველა ამას დაუმატეთ მორი-
ელის სიმრავლე, რომელიც ყოველ ფე-
ხის გადადგმავდ ყვითელი ქარვასა-
ვით მიიზღაზნებინან და არა ერთსა და
ორს აღამიანს ასალმებენ ხოლმე სი-
ცოცხლეს და მაშინ აღამიანი წარმო-
იდგენს რა გვენია დატრიალდება
ხოლმე ზაფხულში ბარად.

ცხოვრება ბარად შეუძლებელი ხდე-
ბა. მოშხამულს ჰაერს თან მოსდევს
ათასგვარი ავადმყოფობა: ციებ-ცხელე-
ბა, უემური, ტყირპი და სხვა. ამიტომ
ბარი იყრება და მთებში მიდის ია-
ლაღელ. თან მიჰყავს საქონელიც,
მიაქვს სარჩო-საბადებელიც რაც კი
ორი-სამი თვისათვის დასჭირდება. და
სოფლად სტოვებს სახლ-კარის ყარაუ-
ლად რამდენიმე ხნიერს აღამიანს და
ძალღებს.

ზღაზნითა, უგემურათა და უგულოთ
მიემგზავრება წრეულს ხალხი იალაღ-
ო. ძველებური მხიარულობა აღარ
ჰათ, რაც დრო გადის უფრო და
აწროვებენ ხალხსა, ახალ-ახალ
ობებს უყენებენ. იალაღი
ალობს და თავისი და-
ობა. წრეულს მაინც
ს შემხუთავი ბრძა-
და აი ამიტომ არის
არენილი, გული აღარ
მიილტვის ძველებურის
ით და აღარ ეჩქარება. ეშუ-

რება კი არა ზოგიერთნი იმ აზრისა-
ნი იყვნენ წრეულს, რომ არც კი გა-
სულიყვნენ იალაღელ და სოფლად
დარჩენილიყვნენ.

— რაც მოგვივა მოგვივიდეს, და-
ვიხოცნოთ აქ ბარათ. რა უბედურებაა,
ყოველ მხრივ სულს გვიხუთავენ. ია-
ლაღელ იმიტომ გადის კაცი თარხ-
ნათ ცხოვროს, სული მოითქვას, და-
სნეულელები ჯანი განიკურნოს. წლი-
თი-წლობით უფრო და უფრო მიუხ-
რუქს გვიჭერენ, თუ აღარ უნდათ
რომ იალაღელ გავიდეთ, ბარემ ერთ-
ხელვე აღგვიკრძალონ, მორჩნენ და
გაათავონ.

ახალი ბრძანება იყო მოსული, რომ
იალაღელ კერძოთ ცალკე არავის
ეცხოვრნა, არამედ ერთად არა ნაკ-
ლებ ოცის მოსახლეობისა. კარავები
ორ პირათ უნდა ჩაერიგებინათ, რო-
მელთ შუაც ფართო ქუჩა-მოედანი
უნდა ყოფილიყო დატოვებული. ამ
მოედნის შუაგულს ფანარი უნდა ყო-
ფილიყო დადგმული, რომელიც მთე-
ლი ღამე უნდა ნთებულიყო და იქვე
თუნუქი ან ფიცარი უნდა ყოფილიყო
მიკრული წარწერით, რომ ამა და ამ
იალაღელ ამდენი და ამდენი მამრო-
ბით და მდედრობითი სქესის აღამიან-
ნია. გარდა ამისა ძალღები ყველას
დაბმული უნდა ჰყოლოდა და სხვა და
სხვა.


როცა ეს ბრძანება გამოუცხადეს
ბარელებს ხალხი შედრტვინდა, შედრკა
და არ იცოდნენ რა ექნათ, წასულიყ-
ვნენ კიდევ, თუ არა იალაღელ. ჯერ
თითქმის თავს იკავებდა ბარი, მაგ-
რამ როცა ჩამოცხა და სულის შემ-
ხუთავი ჰაერი და ბრიჯის ნათესების
საზარელი შმორის სუნი დატრიალდა
ირგვლივ, მაშინ ნელ-ნელა აიკიდა
ყველამ გულდა-ნაბადი და მთის გზას
შეუდგა.

ბუზღუნით გაიარა მთელი ქალია-
ლის ხეობა მოხუცმა და წელში მოხ-
რილმა არზუმანამ.

— ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს,
გაიძახდა ის წამდაუწყებ გზაში მი-
მავალი, ასეთი სისასტიკე მკაცრი და
შეუსაბამო განკარგულება ამოდენა
კაცი დავებრდი და არსად მინახავს
და გამიგონია. კაცო, ეს რა უბედუ-
რებაა, ჯარები ხომ არა ვართ და სა-
ომრად ვემზადებით, რომ მწყობრად
ერთი-ერთმანეთზე ჩავამწყრიოთ კარ-
გები. მე ჩემი ადგილი მაქვს იალაღ-
ზედ, იქ მინდა წავიდე, იქ უნდა ვი-
ცხოვრო და სხვას როგორ მიუშვებ
ჩემს ადგილზედ და გავაოხრებინებ
იქაურობას. ვისაც საკუთარი ადგილ-
მდებარეობა არ მოეძებნება იალაღ-
ზედ თუ მაინცა და მაინც არ დაუშ-
ლიათ ისინი გაანწყრიონ ჯარებსავით,
მაგრამ ბერიკაცი ვარ, საკუთარი ია-



შტაბს-კაპიტანი მაკარი იოსების ძე
გოგოლიშვილი (მოკლულია)



სწრაფი დახმარება.



შტაბს-კაპიტანი ნოე იოსების ძე
გოგოლიშვილი (დაჭრილია)

ლალი მბადია, სხვათა ადგილზედ რათ წავიდე, ან ჩემიან სხვანი რად მოვიპატიო, როდესაც ისედაც ბარში სივიწროვით შეწუხებულს ფართოთ ცხოვრება და დასვენება მეჭირება. არა, მე ჩემს ადგილ-მიდამოს ვერავინ მომაშორებს, ჩემს ღელეს და იქ მოჩუბჩუხე ანკარა წყაროს ვერ განვშორდები. კაცი დავბერდი, წელში მოვიხარე, მუდამ წელს აქა ვარ და ვინ უნდა ამყაროს ჩემს ადგილიდგან და თავისს ნებით სხვაგან გადამასახლოს. არა, შეუსაბამოა და უადგილოა ასეთი განკარგულება. არა, მე ჩემს იალალს გულიბაღს ვერავინ მომაშორებს.

ხალხი ნელ-ნელა აიკრიფა მთაში იალალზედ და მთის მწვერვალთა შორის დაცემულს ადგილებზედ გაიფანტ-

გამოიფანტა. მთელის წლობით გამოყრუებული და მიძინებული მთა ახმაურდა, გამოიღვიძა და თვალები გამოიფხვინა. ნაკადულთა და ჩახრილათა მწყობრსა და მკვეთრს რაკრაკს ეხლა ადამიანთა ხმაურობაც მიემატა და მთის მყუდროება გატყდა, დაირღვა. რა მშვენიერია ეხლა მთა. ბარათ ყველაფერი იწვის და იშხამება, აქ კი ეხლა იწყობა სიცოცხლე, მწვანე ხავერდის ყდით არის გადაჭედილი მისი ზედა პირი და ათას ფერ მთის პირში სუნელოვანი ყვავილებით მოფენილა და მოურთავს-მოუკაზმავს იქაურობა. სუნელოვან ბალახთა და ყვავილთა შორის ნელად მოიკლაკნება მზის სხივებზედ აფერადებულ-აზიზილავებული მორცხვად მოღიმარი ნაკადული—ეს მთის გამონაყური ცრემლები. ხარობს, იშვებს ყოველივე,

ბარის ჰაერით შეხუთული სული აქა ჰპოვებს შეებას. ჰხარობენ ბავშვები, დახტიან, ცელქობენ და მწვანე მოლზედ ფეხმოსხლეტილნი ყირას გადადიან, ცელქობენ არ ილღებიან, ნაკადულს თავზე ახტებიან, ჩახრილებს აშენებენ. ხარობენ ცხოველებიც, დახეთ ცელქი ნიშა ხბო, კვიციები და სხვანი რა ხტუნაობაში არიან, რა კუნტრუშობენ, დარბიან. მათაც სიცოცხლე მისცემით აღარ ჩერდებიან, ხან ჩამოეშვებიან კისრის მტვრევით მთიდგან, ხან მარდათ აირბენენ და ტლინკების სროლით აიკუნტრუშებენ. აგერ ბერი კაცები კიდეც წამოწოლილან მთის ფერდობზედ, მაცოცხლებელს მთის ჰავას მათ მოღუნებულს და დაუძღურებულისათვისაც სული ჩაუღვამს და გაუცოცხლებია. შესცქერიან ირგვლივ შემორტყმულს ბუმბე-

რაზს მთებს და მათს ძლიერებას, მათს სიდიადეს ჩაუნთქავს ისინი. აბა გაიხედეთ ეხლა შორს, მთათათს მისდევს, უფსკრული-უფსკრულს და შორს, შორს მათი დასასრული არა სჩანს, დაკარგულია. ცის ტატონობზედ მხოლოდ მთები, უფსკრულები გაუთავებელი და დაუსრულებელი აი ამ უფსკრულთა შორის დილის ცისკარზედ, ან კიდეც საღამო ვამს ბამბის ქულასავით ჩაიჩხირება ხოლმე თეთრი და სპეტაკი ღრუბლების ნატები და ნელ-ნელა საითკენაც მიეშურება და იფანტება ხოლმე. მშვენიერია დილა ალიონზედ, როცა მთა იღვიძებს და მთის მწვერვალებიდგან ძირს ხეობაში ჩახედვა, როდესაც სარკესავით მოწმენდილს ბუნების წიაღში მთელი სიტურფე-სიდიადით თქვენს წინ აშკარად იშლება და იქ ჩაქედლილს



მავეთულების ხლართი.

ძირს ხეობაში კლდე-ღრეთა შორის საყვარლად მიჰქეხს მშფოთარი მდინარე. გველსავით, თეთრ ჰვიანტიურ გველსავით მიიკლავება ამ ბუმბერაზთა შორის მთლად თეთრ ქაფად ქცეული მყფარი მდინარე და მასზედ თავზედ დასცქერიან და ჩამონგრევის ემუქრებიან საუკუნოებით აყუდებულნი მწვერვალნი. მაგრამ არა, დილის ალიონს საღამო ჟამი უფრო სჯობიან, როცა ბუნებას ნელ-ნელა ძილი ეპარება, სინათლე იწრითება და მთის ფერდობებზედ გაფენილს კარვების წინ თითქოს ჯარებს დაუბანაკიათო ცეცხლები ჩაღდება. საყვარლად მოსჩანს ხოლმე ამ მთის წყვედაიში ეს ცეცხლის ენები, მიყრუებული მთა რალაც არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენს ამ დროს.

მთა მხიარულობს ცილდება და მასთან ერთად დამაშვრალი ხალხიც კისკასობს, ოცნებობს და შვება განცხრომას იძლევა. ძალუმიდა სცემს მისი მაჯა, წუთიერად ივიწყებს ბარში თავის მუღმივ ტანჯვის და გაჯანჯლებულს სიცოცხლეს.


აქვე ამ შვება-ლხენის დროს ბარში სიცოცხლე გამწარებულნი, ჰმართავენ ხოლმე ჟორწილებს, წვეულებებს და სხია და სხია გართობებს.

წილსაც ჩვეულებრივ გაჩაღდა ჟორწილები. დაიწყო წვეულობა. ახმაურდა ზორნა-დაფი, ამეცყვილა მთის უფსკრულნი და ზორნის ყოველივე ახმაურებაში ისიც გამოძახილს ბანს აძლივს, ტაშს უკრავს, იაშას იძახის. მხიარულობს ხალხი ფიანდაზად გადაშლილს მთის წიაღთა შორის, ბუნებასთან ერთად დღესასწაულობს და იქჲჲარის უხვად შეირგოს მთის მაცოცხლებელი ჰაერი და მასთან ერთად ფერხულ ჩაბმული, თავდავიწყებას მიუღწია ბარში განვლილი კირი და ვარამი.

ჟორწილი აქვს არზუმანასაც, თავის უმცროსს ვაჟიშვილს ცოლისა რთავს. იმას თავის სამკვიდრო წყაროსთან დაუკია კადავი ღელეში და განკერძობითა სცხოვრობს ოჯახობით. ჟორწილზედ კარგა ბლომად ხალხია შეყრილი, გაჩაღებული ცეკვა-შპრობაა. ხალხს უკვე ჰამა-სმა გაუთავებია და ლხინშია გართული. კარგა დიდს წრეში ერთს გვერდზედ მეზურნეები სდგანან, მეორე მხარეს ხალხია ჩამწყრივებული. შპრობა-შპრობას მისდივს, ცეკვა-ციკვას, ლალია და შეუდარებელი ეს მხიარულება, როდესაც ხალხთან ერთად მხიარულობს და კისკასობს თვით ბუნება. კარგა მოშორებით კიდევ მეორე მხარეს ზის მეჩანგურე და მოხდენილად უკრავს და ზედ დამღერის რალაც სევდა-ნაღვლიანს სიმღერას. მას გვირდით შემოხვევიან მოხუცი და ხანში შესული და მეჩანგურეს ყურს უგდებენ. მისი მოწყენილი ნაღვლით საესე სიმღერაში მოხუცი, თითქო რალაც სიამოვნებასა გრძნობდნენ, მოღუშულ და მორკმული სახე დროგამოშვებით უბრწყინდებათ და უღიმით.

განცხრომაშია, მხიარულებაშია და ლაღობაში მთელი იალაღი. ავერ ბინდდება, ცეცხლებს ანობენ და ნახეთ მაშინ ცეცხლი პირას რა ზეიმი და სიმღერები გაიმართება. გართულია ყველა და დამთვრალ-გაბრუებულია ბუნების სიდიადე და კეთილ ჰაეროვნებით.

ამ დროს, როცა არზუმანასთ შეანკრეფილი ხალხი ამ ყოფაშია და სრულ თავდავიწყებამდის მხიარულებას მისცემია, სრულიად შეუმჩნევლად მთის



ქარ. შორის წ.-კ. საზოგ. მუზეუმის გეგმა.

მოხვეულებიდან გამოვიდა ოთხი მხედარი და არზუმანას ბინისაკენ გაემართნენ. ისინი იყვნენ საყრობო დარაჯები თავისის ბოქაულით. რალაც უსიამოვნობა ეტყობოდა ბოქაულს. ავერ მიუახლოდნენ არზუმანას ბინას, მაგრამ ხალხი მხიარულებაში იყო გართული და ჩვეულებისამებრ მას არავინ გამოეგება. ამ დროს ძაღლები, რომელთაც ჩვეულებრივ ბევრს ინახავენ იალაღზედ, ერთს თვალის დახამხამებაში მათკენ გაექანნენ და ეცნენ მეზაირებს. ძაღლები ისეთ ნაირად მიესივნენ, რომ ზედ ახტებოდნენ მეზავრებს. გაბრაზებულმა მოსულებმა დაიწყეს ლანძღვა-გინება და თოფის სროლა, რასაც ერთი აურ-ზაური მოჰყვა. ამით უფრო გამხცედა ბოქაული, რომელიც ისედაც არ იყო კარგს გუნებაზედ, წინ წაიდო ბოდიშის მოსახდელად წამდგარი არზუმანა და უწყალოდ ცემა-ტყუბა დაუწყა.


შენ როგორა ჰბედავ და მთავრობის ბრძანებას არ ასრულებ, ვინ მოგცა ნება ცალკე განკერძოვებით კარავის დადგმისა და ცხოვრებისა, ვინ მოგცა ნება ძაღლების აშვებისა, როცა სასტიკად ნაბძანები იყო, რომ ძაღლები დაბმული უნდა გყოლოდათ, ვინ, ვინ, შენ მთავრობის ურჩო და შეამბოხე, გამხცეებული ჰყვიროდა ნაიბი და თან მათრახს უშენდა არზუმანას.

ხალხი შეჯგუფდა, მუდარებით სთხოვა პატივება, მაგრამ ბოქაულმა მთხოვნელებს დარაჯები მიუსია და ცემა-ტყუბით დაიფრინა ყველანი, შემდეგ ისევ არზუმანას დაუბრუნდა და ხელ-ახლად გააქრელა მათრახებით.

გააფთრებულმა ბოქაულმა აღარიცოდა რა ექნა მისთვის, ურჩ არზუმანასთვის. კარავი მთლად მიუნგ-მოუნგრია, მიუფანტა ყოველივე და უბრძანა იქვე მყოფ მამასახლისს ხვალ დილითვე მასთან ჩაეყვანა არზუმანა როგორც ურჩი და მთავრობის მოწინააღმდეგე დასაპატიმრებლად.

შუალამე კარგა გადასული იყო, რომ პოლიციისაგან აკლებული არზუმანას ოჯახობა ჯერ კიდევ ვერ დალაგებულ იყო. თვით არზუმანა ხომ ნაგვემ-ნაცემი ძლივსლა სუნთქავდა და კვნესოდა. მეორე დილას, როცა მამასახლისი ბოქაულით მის წასაყვანად მოვიდა ის უკვე სულთმობრძავი მკვდარი იყო.

წ. ედილი.



ახალმოდის ყანთარი!
ახ ბარი ბახ, ბარი ბახ!
მოდით ნახეთ სად არი!
ახ ბარი ბახ, ბარი ბახ!
ზედ აწყვია შაქარი!
ახ ბარი ბახ, ბარი ბახ!
ძირს მუშტარი მზად არი!

ახ ბარი ბახ, ბარი ბახ!
მშიერი, კუჭ-გამხმარი!
ახ, ბარი ბახ, ბარი ბახ!
„ტაქსასა“ სწერს ჯაბარი!
ახ ბარი ბახ, ბარი ბახ!
სამართალი სად არი?
ახ ბარი ბახ, ბარი ბახ!